ოქმი:**ო05.37213631**

თარიღი:**29/12/2021**

ოქმი №3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2021 წელი, 27 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ.ნიჟარაძე, მ.ჩხიკვიშვილი, ქ.ვასაძე, ე.გორდელაძე, ხ.ცერცვაძე, გ.მდინარაძე, ნ.ნადირაშვილი, ნ.გოლიაძე, ლ.ბიგვავა, პ.სალუქვაძე, რ. დუმბაძე, ბ.კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხსენებელი: პ.კიღურაძე

თანამომხსენებელი: გ.მამაკაიშვილი

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის კორექტირებული ვრიანტი, კომისიის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ პროექტი აკმაყოფილებს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიას, საბიუჯეტო პარამეტრები პროგრესირებადია და ძირითადად სრულ შესაბამისობაშია მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ძირითად მიმართულებებთან, კომისიამ მიიღო

გადაწყვიტილება:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი აკმაყოფილებს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიას.

2. საბიუჯეტო პარამეტრები პროგრესირებადია და ძირითადად სრულ შესაბამისობაშია მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ძირითად მიმართულებებთან.

3. მოწონებულ იქნას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის კორექტირებული ვარიანტი და შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: პ.კიღურაძე

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიმდინარე წლის 27 დეკემბრის მომართვა ფრაქციის წევრების საკრებულოს კომისიებში გადანაწილების შესახებ, კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ განხორციელებულ ცვლილებებს წრმოდგენილი სახით და მიიღეს

გადაწყვიტილება:

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში შეყვანილ იქნას მარინა ვაშალომიძე, ხოლო დავით მდინარაძე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიიდან გადაყვანილ იქნას სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში, ამავე კომისიის წევრად შეყვანილ იქნას გოჩა კილაძეც.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი